

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ

კანონი „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ განსა-ზღვრავს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სტატუსს.

ეს კანონი აწესებს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მფლობელთა და მოსარგებლეთა, აგრეთვე საგზაო-საინჟინრო ნაგებობების მფლობელ ორგანიზაციათა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობისა და დაცვის წესებს, მოთხოვნებს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოწყობილობისადმი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე.

თ ა ვ ი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონმდებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ

კანონმდებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ შედგება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონისა და სხვა სათანადო ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 2. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ცნება

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა არის საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაცაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებით და გაბარიტებით.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის ცნებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები, გაერთიანებულია:

ა) მიწის ვაკისი, სავალი ნაწილი, ხიდეები, გვირაბები, ესტაკადები, სატრანსპორტო კვანძები, წყალგამტარი ნაგებობები, საყრდენი კედლები, გზის გასწვრივ მდებარე საველოსიპედო და საცალფეხო ბილიკები, ასევე განსხვავების ზოლები და მის ფარგლებში არსებული სხვა საგზაო ნაგებობანი;

ბ) მოძრაობის მართვისა და რეგულირების, ტექნოლოგიური კავშირის, განათების მოწყობილობათა ელემენტები და სხვა ნაგებობანი, მათ შორის სპეციალური დანიშნულების სატელეფონო კავშირები, რომლებიც საჭიროა საავტომობილო გზების ნორმალური მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისათვის;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ზედა საჰაერო სივრცე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დადგენილი გაბარიტების ფარგლებში;

დ) თოვლდამცავი და ხმაურდამხშობი მოწყობილობანი, სატყეო თოვლდამცავი ზოლები, ზვავსაწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო და წყალამრიდი ნაგებობანი, გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები და ავარიის საწინააღმდეგო ჯიბეები, რომლებიც შეიძლება განლაგებული იყოს განსხვავების ზოლის გარეთ;

ე) საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის შენობა-ნაგებობანი.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება: (21. 03. 2007 წ. N243; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)

ა) მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების ამავე მუნიციპალიტეტებში შემავალ დასახლებებთან დამაკავშირებელი გზები;

ბ) მუნიციპალიტეტებში შემავალი დასახლებების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელი გზები;

გ) მუნიციპალიტეტებში შემავალი დასახლებების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები;

დ) ადგილობრივი საკურორტო, დასვენებისა და ტურიზმის ობიექტების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებთან (რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობს აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელი, აგრეთვე საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებიდან უახლოესი რკინიგზისა და საზღვაო ნავსადგურებთან მისასვლელი გზები.

4. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება აგრეთვე გზები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ნორმატიული აქტების თანახმად შეიძლება მიეკუთვნებოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს, მათ შორის სამთო-საიალალო გზები.

5. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას, ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. როგორც წესი, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხა გადაისინჯება სამ წელიწადში ერთჯერ. (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

მუხლი 3. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დასახელებისა და სიგრძის განსაზღვრის წესი

1. საავტომობილო გზების დასახელებაში უნდა შედიოდეს საწყისი და ბოლო დასახლების სახელწოდება, რომელსაც აკავშირებს გზა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – ძირითადი შუალედური დასახლების სახელწოდებაც. დასაშვებია გზების დასახელება ბოლო დასახლების სახელწოდების მიხედვით, გეოგრაფიული ან სხვა ობიექტების ისტორიული მნიშვნელობისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით. (21. 03. 2007 წ. N243; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)

2. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების კილომეტრაჟის გამოანგარიშებისათვის საწყის და ბოლო წერტილებად მიიღება:

ა) მუნიციპალიტეტებში შემავალი დასახლებების ერთმანეთთან შემაერთებელი გზებისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული

შენობები, დასახლების ცენტრში განლაგებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობანი; (21. 03. 2007 წ. N243; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)

ბ) სხვა გზების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზებისათვის _ შეუღლებული გზების ღერძების გადაკვეთა;

გ) გეოგრაფიული, ისტორიული ან სხვა ობიექტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზებისათვის _ ამ ობიექტების საზღვრები.

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენცია ადგილობრივი საგზაო მეურნეობის რეგულირებაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა გამგებლობას განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების საგზაო მეურნეობის ხელმძღვანელობა და მისი მართვის წესის დადგენა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაცვისა და აღრიცხვის ორგანიზაცია;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტა.

თ ა ვ ი II

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა

მუხლი 5. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვის უფლებამოსილი ორგანო (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მართავს უფლებამოსილი ორგანო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების სახით (შემდგომში _ საქვეუწყებო დაწესებულება), რომელიც ახორციელებს გზების მშენებლობას, რეკონსტრუქციას, შეკეთებას და მოვლა-შენახვის სამუშაოებს.

2. საქვეუწყებო დაწესებულება ატარებს ერთიან პოლიტიკას ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების საკითხებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით, ხოლო დაპროექტების, მშენებლობის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში _ დამოუკიდებლად.

3. საქვეუწყებო დაწესებულების უფლება-მოვალეობანი:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნების და ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით გზების კეთილმოწყობა, ქსელის სრულქმნა, მშენებლობა და მშენებლობადამთავრებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების საექსპლუატაციოდ მიღება და მოვლა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდის, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების და მავნე ზემოქმედებისაგან გარემოს დაცვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაცვისა და სარგებლობის წესების შესრულების კონტროლი;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის შედგენა და წინადადებების (პროექტების) მომზადება მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

ე) საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოძრაობის დროებით შეზღუდვა ან შეწყვეტა, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევაში ამ გზებზე აღნიშნულ პერიოდში ცალკეული სატრანსპორტო საშუალებების გატარებაზე თანხმობის გაცემა;

ვ) საქვეუწყებო დაწესებულების მიზეზით გზების მოსარგებლებსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) საგზაო სერვისის ორგანიზაციისა და გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა.

თ) ეროზიის, მეწყერის, ღვარცოფის, წყალმოვარდნის და წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 6. საქვეუწყებო დაწესებულების ქონება (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

საქვეუწყებო დაწესებულების ქონებას შეადგენს კანონმდებლობის შესაბამისად მის მფლობელობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები, სხვა აქტივები, რომლებიც აისახება საქვეუწყებო დაწესებულების ბალანსში.

მუხლი 7. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქონების პრივატიზება

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მომსახურების ორგანიზაციების ქონების პრივატიზების საკითხი წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თ ა ვ ი III

ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო დარგის დაფინანსება

მუხლი 8. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისა და განვითარების დაფინანსება

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაპროექტების, მშენებლობის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) ბიუჯეტის ხარჯზე. (21. 03. 2007 წ. N243; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით, ისე კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

მუხლი 9. კერძო და ფასიანი ადგილობრივი მნიშვნელობის

საავტომობილო გზები

1. კერძო ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მოწყობა ნებადართულია.
2. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით ან გზების მონაკვეთებით სარგებლობის საფასურის დაწესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ორ დასახლებას შორის არსებობს პარალელური (ალტერნატიული) გზა. (21. 03. 2007 წ. N243; გაზეთი “აჭარა”, 29. 03. 2007 წ. N49)
3. ადგილობრივი გზებით ან გზების მონაკვეთებით სარგებლობის საფასური განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით და გამოიყენება ამავე გზების ან გზების მონაკვეთების მოვლა-შენახვისა და განვითარებისათვის.

თ ა ვ ი IV ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობა

მუხლი 10. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობის წესი

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები გამოიყენება “საავტომობილო გზების შესახებ”, “საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონებით, ამ კანონითა და სხვა სათანადო ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების შესაბამისად.
2. სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ გზის სავალ ნაწილზე.
3. აკრძალულია მუხლუხა ან ლითონისბორბლებიანი მანქანების მოძრაობა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შავსაფარიან სავალ ნაწილზე და გვერდულელებზე.
4. სატრანსპორტო საშუალებების გასატარებლად, რომელთა ღერძული დატვირთვა და გაბარიტები აღემატება ნორმატიულს, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები (უცხოელების ჩათვლით) დადგენილი წესით იღებენ ნებართვას და თუ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები დააზიანებენ გზის ელემენტებს, დადგენილი წესით იხდიან აღდგენის საფასურს.

მუხლი 11. შეზღუდვები და აკრძალვები ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე აკრძალულია:
 - ა) იმ სატრანსპორტო საშუალებათა გავლა, რომელთა ზომები ტვირთიანად აღემატება საერთო საგზაო წესით დადგენილ გაბარიტებს;
 - ბ) გავლა ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებისა, რომელთა ღერძზე დატვირთვა აღემატება ნორმით გათვალისწინებულს;
 - გ) გზების, საგზაო ნაგებობათა და განსხვავების ზოლის, აგრეთვე ხიდებისა და მილების ნახვრეტების, არხებისა და სადრენაჟო მოწყობილობათა გაჭუჭყიანება ან ჩახერგვა;
 - დ) შეუფუთავად გადაზიდვა ისეთი ტვირთისა, რომელიც აჭუჭყიანებს გზას ან განსხვავების ზოლს;
 - ე) სოფლის მეურნეობის პროდუქტების (მარცვლეულის, თივის და სხვა) გზაზე გამოტანა და დაყრა;

ვ) ნავთობპროდუქტებისა და ქიმიურ ნივთიერებათა დაქცევის შესაძლებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება, აგრეთვე გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვა;

ზ) პირუტყვის გადარეკვა საქვეუწყებო დაწესებულებასთან შეთანხმებული ადგილების გარდა, აგრეთვე მისი უმეტესაღმრავლად ძოვება გასხვისების ზოლში; (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

თ) გზების ბლოკირება, საკონტროლო და შესამოწმებელი პუნქტების მოწყობა, დემონსტრაციების, სპორტული შეჯიბრის, სხვა მასობრივ ღონისძიებათა მოწყობა, რომლებიც ცვლიან მოძრაობის დადგენილ რეჟიმს, ასევე გზაზე ავტოტრანსპორტის შესვლა და გამოსვლა საამისოდ დადგენილ ადგილებში საქვეუწყებო დაწესებულებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში), აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი სხვა სათანადო ორგანოების თანხმობის გარეშე; (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

ი) რეკლამების გავრცელება საქვეუწყებო დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე; (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

კ) გზის ვაკისზე ვაჭრობა;

ლ) საგზაო ნაგებობების, საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების, მწვანე ნარგავების, თოვლდამცავი მოწყობილობის და სხვა საგზაო ქონების დაზიანება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და აკრძალვების უგულებელყოფა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. მოძრაობის დროებით შეწყვეტა ან შეზღუდვა

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა დროებით შეიძლება შეწყდეს ან შეიზღუდოს მხოლოდ ავარიის ან სტიქიური მოვლენების შემთხვევაში, საგზაო-კლიმატური პირობების გამო ან სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ღებულობს საქვეუწყებო დაწესებულება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილ სხვა სათანადო ორგანოებთან ერთად. (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

3. საქვეუწყებო დაწესებულება ვალდებულია დროულად გამოაცხადოს გზებზე მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ასაქცევი (ალტერნატიული) გზების თაობაზე და მათ დასაწყისში უნდა დაიდოს (დამონტაჟდეს) შესაბამისი საგზაო ნიშნები. (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში გზებით მოსარგებლებებს უფლება აქვთ მოითხოვონ მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 13. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების კონტროლი

1. შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის მოთხოვნებთან ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მდგომარეობის შესაბამისობას აკონტროლებს საქვეუწყებო დაწესებულება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და კანონმდებლობით უფლებამოსილ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაციით. (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

2. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას კომისია სხვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

მუხლი 14. საქვეუწყებო დაწესებულების პასუხისმგებლობა (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მდგომარეობის გამო მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქვეუწყებო დაწესებულებას, გარდა დადგენილი წესით მოძრაობის შეწყვეტის შემთხვევებისა.

2. საქვეუწყებო დაწესებულება ვალდებულია აუნაზღაუროს საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს ცუდი საგზაო პირობების შედეგად მომხდარი საგზაოსატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული ზარალი თუ ამ შემთხვევის მიზეზი ის იყო, რომ საქვეუწყებო დაწესებულებამ მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობანი.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების საქვეუწყებო დაწესებულებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საქმეს, მათ შორის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილავს სასამართლო.”.

მუხლი 15. გზებით მოსარგებლეთა პასუხისმგებლობა

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით მოსარგებლენი მგზავრობა-ტვირთობის დროს ვალდებული არიან დაიცვან "საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის, აგრეთვე საგზაო მოძრაობის მომწესრიგებელი სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

2. საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს, რომელთა მიზეზით დაზიანდა გზის საფარი, გვერდულები, მიწის ვაკისი, დამცავი მოწყობილობა, ხიდები, გზაგამტარები, წყალამრიდი და სხვა ნაგებობანი, ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვალდებული არიან აანაზღაურონ მიყენებული ზარალი.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოდერნიზაციისას კომუნიკაციების გადატანა ხორციელდება იმ ორგანიზაციის ძალებით, რომლის ბალანსზეც იმყოფება კომუნიკაციები, საქვეუწყებო დაწესებულებასთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

4. თუ კომუნიკაციები მოწყობილია არსებული ნორმების დარღვევით, მათი გადატანა ხდება მესაკუთრის ძალებითა და ხარჯებით.

მუხლი 16. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში შეუთანხმებელი მოქმედების აკრძალვა

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან შეუთანხმებლად აკრძალულია:

ა) ნებისმიერი სამშენებლო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო, გეოლოგიური ძიების სამუშაოები, კავშირგაბმულობის ხაზებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ახლის აშენება და არსებული ნაგებობების შეკეთება (მილსადენების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის შემთხვევაში აღდგენა-შეკეთების სამუშაოების გარდა, რასაც დაუყოვნებლივ ატყობინებენ გზების მფლობელებს);

ბ) ტექნოლოგიური ტვირთების ორგანიზაცია;

გ) გარე განათებისა და გამწვანების მოწყობა;

დ) მოძრავი გასამართი პუნქტების, ჯიხურების, პავილიონების და სხვა ნაგებობების განლაგება;

ე) სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვის, გასაჩერებელი და სამრეცხაო მოედნის მოწყობა;

ვ) კაშხლების, გუბურების და სხვა მელიორაციულ და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობა, მდინარეების კალაპოტების გაღრმავება და ქვიშისა და ღორღის მოპოვება ერთი კილომეტრის მანძილზე ხიდების ზემოთ და ქვემოთ;

ზ) მდინარეზე ხიდების ქვეშ ხე-ტყის დაცურება;

თ) ხიდების ბურჯებთან ნავეების ან სხვა სანაოსნო საშუალებათა მიდგომა, გზაგამტარების, ესტაკადებისა და ხიდების ქვეშ სადგომის, გასასვლელების, აგრეთვე ნავეების სადგურებისა და სხვა რაიმე ნაგებობათა მოწყობა.

2. ყველა იმ სამუშაოთა წარმოება, რომელიც გზის ამა თუ იმ მონაკვეთზე ცვლის საგზაო მოძრაობის არსებულ ორგანიზაციას ან ავტომატების სიჩქარეების დადგენილ რეჟიმს, გარდა საგზაო ორგანიზაციებისა, უნდა შეუთანხმდეს საქვეუწყებო დაწესებულებას და კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს (ორგანოებს). (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

3. ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი უნდა დაინგრეს თვითნებურად ამშენებელთა ხარჯზე.

მუხლი 17. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა

1. საქვეუწყებო დაწესებულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყოველმხრივ დახმარებას უწევს საავტომობილო გზებზე დაზიანებულ სატრანსპორტო საშუალებებს. (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

2. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომხდენი ან გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებების გატანას გზის სავალი ნაწილიდან უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები.

3. გზის მფლობელი ვალდებულია შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით ყველაფერი იღონოს გზის სავალი ნაწილიდან გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებების ან ტვირთის გასატანად, ტექნიკური დახმარების გასაწევად და გამაფრთხილებელი ნიშნების დასადგმელად.

მუხლი 18. სამედიცინო დახმარება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზარებულებს სამედიცინო დახმარებას უწევენ ამ გზებთან ყველაზე ახლოს განლაგებული სამედიცინო დაწესებულებები.

მუხლი 19. საქვეუწყებო დაწესებულების მუშაკთა უფლებები (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

საქვეუწყებო დაწესებულების სისტემის მუშაკებს სამსახურებრივი მოწმობის წარდგენით, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ იმ სატრანსპორტო საშუალების დაკავებაში,

რომლებიც არღვევენ ამ კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილ წესებსა და ნორმებს.”.

**მუხლი 20. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო
გზების განვითარებასთან და გაუმჯობესებასთან
დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოება**

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია, შეკეთება, მოვლა-შენახვა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები წარმოებს არსებული სამშენებლო ნორმების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

**თ ა ვ ი V
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

მუხლი 21. ამორებულია. (23. 12. 2008 წ. N18; გაზეთი “აჭარა”, 27. 12. 2008 წ. N146)

მუხლი 22. კანონის ძალაში შესვლა
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე**

ლევან გარშალომიძე

ბათუმი,
2005 წლის 11 აგვისტო
N29 უ.ს.რ.ს.